მოწყობილობის დანიშნულება

ჰაერის დამატენიანებელი განკუთვნილია შენობაში ჰაერის ტენიანობის კომფორტული დონის შესანარჩუნებლად.

უსაფრთხოების ზომები

- გამოიყენეთ მოწყობილობა მხოლოდ დანიშნულებისამებრ.
- დამატენიანებელი განკუთვნილია შენობის შიგნით გამოყენებისთვის. არ გამოიყენოთ იგი გარეთ, ავტოფარეხში და ა.შ.
- თვალი ადევნეთ რეზერვუარში წყლის არსებობას.
- გამოიყენეთ მხოლოდ სუფთა, ცივი წყალი. გამოიყენეთ გამოხდილი (დისტილირებული) წყალი, თუ ონკანის წყალი ზედმეტად ხისტია.
- გამოყენებამდე დარწმუნდით, რომ წყლის რეზერვუარის თავსახური საიმედოდ არის დახურული.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისათვის, აგრეთვე შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთათვის გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ხორციელდება კონტროლი მათი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ.
- რეზერვუარში წყლის დამატებისას დარწმუნდით, რომ წყალი არ მოხვდეს ორთქლის გამოსასვლელ ხვრელში.
- მოწყობილობის მუშაობისას არ მიმართოთ ორთქლის გამოსასვლელი საცმი ადამიანებზე, ცხოველებზე, კედლებზე ან ავეჯზე.
- არ დაახშოთ მოწყობილობაზე არსებული ხვრელები.
- არ გადახაროთ მოწყობილობა მუშაობის პროცესში.
- არ დატოვოთ მომუშავე დამატენიანებელი უმეთვალყურეოდ დახურულ ოთახში, რადგან ტენით ზეჯერებულმა ჰაერმა შეიძლება კვალი დატოვოს ავეჯსა და კედლებზე. ყოველთვის დატოვეთ კარი ან ფანჯარა ოდნავ ღია.
- ელექტროშოკის თავიდან ასაცილებლად, არ ჩადოთ მოწყობილობა ან მისი ელ. ჩანგალი წყალში.
- მოარიდეთ კვების კაბელი გამათბობელ ელემენტებს; თვალი ადევნეთ, რომ იგი არ იდოს გასასვლელებში და არ იყოს მოჭყლეტილი.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა შეუსაბამო ელექტროქსელებში.
- გამოიჩინეთ სიფრთხილე მოწყობილობის ბავშვებთან ახლოს გამოყენებისას.
- ხანგრძლივი გამოუყენებლობისას, ასევე მომსახურების წინ, გამორთეთ მოწყობილობა კვების წყაროდან.
- არ გამოიყენოთ ჰაერის დამატენიანებელი ფეთქებადი და/ან აალებადი აირების გარემოში.
- არ ჩართოთ მოწყობილობა, თუ რეზერვუარში წყალი არ არის.
- არ გამოიყენოთ ჰაერის დამატენიანებელი მაღალი ტენიანობის მქონე ადგილებში (მაგალითად: აბაზანა, სამრეცხაო და ა.შ.).
- ნუ განათავსებთ მოწყობილობას ღია ცეცხლთან, ქურასთან ან გამათბობელ ხელსაწყოებთან ახლოს.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა, თუ კვების კაბელი ან ელ. ჩანგალი დაზიანებულია.
- არ გამოიყენოთ არანაირი აქსესუარი, გარდა იმისა, რაც მოჰყვება მოწყობილობას კომპლექტში.

- დადგით ჰაერის დამატენიანებელი სწორ, წყალგაუმტარ ზედაპირზე, მზის პირდაპირი სხივებისგან მოშორებით. თვალი ადევნეთ, რომ აბსორბირებადი მასალები (ხალიჩები, ფარდები, გადასაფარებლები) არ დასველდეს.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა, თუ კორპუსი დაზიანებულია.
- მოწყობილობის მუშაობისას არანაირი მანიპულაცია არ ჩაატაროთ რეზერვუარში არსებულ წყალთან.
- კვების კაბელის შეცვლა უნდა განხორციელდეს მხოლოდ სპეციალისტის მიერ ავტორიზებულ სერვის-ცენტრში.
- ელ. ჩანგალი სრულად შეაერთეთ როზეტში; მოერიდეთ მოწყობილობის პარალელურ ჩართვას სხვა ელექტროხელსაწყოებთან ერთად.
- გამორთეთ მოწყობილობა ქსელიდან ჭექა-ქუხილის დროს.
- გამორთეთ მოწყობილობა ღილაკით, სანამ მას კვების წყაროდან ფიზიკურად გამორთავთ.
- ხანგრძლივი უმოქმედობის შემთხვევაში, გამორთეთ მოწყობილობა ქსელიდან, დაცალეთ და გაწმინდეთ წყლის რეზერვუარი.
- ბაქტერიების გამრავლების თავიდან ასაცილებლად, ცვალეთ წყალი რეზერვუარში ყოველ 3 დღეში ერთხელ.
- ტენიანობის მაღალმა დონემ შეიძლება ხელი შეუწყოს მიკროორგანიზმების ზრდას.
- მუშაობისას მოწყობილობის გარშემო წყლის დაგროვება მიუთითებს იმაზე, რომ ოთახში ტენიანობა ზედმეტად მაღალია. დაარეგულირეთ დამატენიანებლის სიმძლავრე შესაბამისად. თუ სიმძლავრის შემცირება შეუძლებელია, გამოიყენეთ მოწყობილობა შესვენებებით.
- მოწყობილობის გადაადგილების აუცილებლობისას, გამორთეთ იგი ქსელიდან და დარწმუნდით, რომ რეზერვუარი მყარად არის დაყენებული წყლის დაღვრის თავიდან ასაცილებლად.
- მოწყობილობის გადაყირავების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გამორთეთ იგი ქსელიდან და მიმართეთ სპეციალისტს შესამოწმებლად.
- ნებისმიერი გაუმართაობის აღმოჩენისას (მაგალითად, წვის სუნი), დაუყოვნებლივ მიმართეთ ავტორიზებულ სერვის-ცენტრს. აკრძალულია მოწყობილობის კონსტრუქციის შეცვლა და არაუფლებამოსილი პირების ჩარევა რემონტში.
- მოწყობილობა განკუთვნილია ექსპლუატაციისთვის 5 °C-დან 40 °C-მდე ჰაერის ტემპერატურაზე, 80%-ზე ნაკლები ფარდობითი ტენიანობის პირობებში.